# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ახმეტელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი ახმეტის მერობის კანდიდატისა და ახმეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ახმეტის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ახმეტა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

*„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო*

# ახმეტის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს, ახმეტაში, ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 5 მლნ 837 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საბიუჯეტო ხარჯები 10,1 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 951 000 ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 11,3 მლნ ლარია.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ახმეტის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** (ჯამურად 1 902 499 ლარი, თანამონაწილეობა 719 400 ლარი). პროგრამით – **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 4 პროექტი (ჯამურად 236 922 ლარი, თანამონაწილეობა 94 759 ლარი); პროგრამით – **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 200 ჰექტარზე განხორციელდა 39 პროექტი (ჯამურად 1 676 955 ლარი); **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 1 478 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 13 942 971 ლარი), რითაც 655-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 637 605 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 15 კოოპერატივი (169 მეპაიე, კაპიტალი 503 710 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 755-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 94 597 559 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა – 11 222 835 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 10 პროექტი (ჯამურად 220 834 ლარი, თანადაფინანსება – 73 481 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** რომლითაც შესყიდულია 1 006 242 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა – 320 227 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა 2 პროგრამა: **მერძევეობის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 4 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 596 609 ლარი, თანადაფინანსება 465 742 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** – 10 პროექტს (ჯამურად 384 314 ლარი, თანადაფინანსება 192 177 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 4 525 174 ლარი, წყალუზრუნველყოფილი ფართობი, 150-დან (2013 წელს) 420 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – ახმეტაში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 49,19 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 49,73 მლნ ლარი).

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც, პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის ახმეტაში დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2345 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით – **„აწარმოე საქართველოში“,** ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 1 287 998 ლარი, დასაქმებულია 66 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 3 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 9 329 650 ლარი, დასაქმდა 94 ადამიანი, ახმეტას 79 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 2 178 111 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 2 827 474 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 235 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 98, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 137 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა;**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური** – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია – 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

ახმეტაში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 7 540 აბონენტი. 2013-2017 წლებში, 479 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. ახმეტაში, 2014-2020 წლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, ჩატარდა **ტრენინგები** ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისთვის (ჯამურად გადამზადდა 800-მდე მოქალაქე). **ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდა:** 2014 წელი – მოეწყო ჰოსტელი და ომალოქუეს ბილიკი (20 950.4 ლარი); საპიკნიკე და საკემპინგეს მშენებლობა (38 318,63 ლარი). 2015 წელი – მოეწყო ახალი ტურისტული ბილიკი „ომალო-ალაზნისთავი-ბორბალო“. 2016 წელი – გარემონტდა ადმინისტრაციული შენობა



ქ.ახმეტაში ფიროსმანის II ქუჩის მოასფალტება მიმდინარეობს

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

და ვიზიტორთა ცენტრი, მოეწყო გადასახედი (300 000 ლარი); ალაზნისთავში აშენდა ვიზიტორთა თავშესაფარი და გადასასვლელი ხიდი (119 776.7 ლარი). 2016 წელი – მოეწყო ქუეს პანორამული გადასახედი (63 364.4 ლარი), სადაც 2019 წელს სოფ. ომალოში მოეწყო კაფეტერია (150 000 ლარი); ამავე წელს მოეწყო 1 ჰოსტელი (54 351.96 ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა **ბაბანეურის მარანთან** მისასვლელ გზას (482 000 ლარი). მიმდინარე წელს დაგეგმილია თუშეთში, **ხითანას** ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (180 000 ლარი).

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ **პანკისის ხეობაში** განახორციელა სამთო-საფეხმავლო ბილიკების მარკირება. ასევე პროექტით – „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

- **მომავალში, „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის, 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს, ახმეტაში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მზადდება ტყის მართვის გეგმა. უკანასკნელ წლებში გაიზარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული **სახელმწიფო ტყის ფართობი.** მიმდინარეობს **აღდგენითი და განაშენიანების** ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტყეების **სანიტარული** მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის **ფერომონიანი მწერების** წინააღმდეგ ბრძოლას.

ახმეტაში, 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 87 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 16 645 კუბ.მ ხე-ტყე.

**კლიმატის მწვანე ფონდმა (GCF),** 2020 წლის აგვისტოში, დაამტკიცა 32,7 მლნ ევროს გრანტი, რომლის მთავარი მიზნებია: საქართველოში სატყეო სექტორის წვლილის შეტანა კლიმატის ცვლილების შერბილებაში და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა. პროექტი მოიცავს საქართველოს სამ რეგიონის, გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის 8 მუნიციპალიტეტს (ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, ყვარელი, თიანეთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური, 2021-2027 წ.წ.).

2015-2016 წლებიდან, კახეთის რეგიონში, მიმდინარეობს კვლევები, კერძოდ ახმეტის მუნიციპალიტეტში **ბიოსფერული რეზერვატის** დაარსების ტექნიკურ-ეკონომიკური პოტენციალის შესაფასებლად. დღეისთვის, პრიორიტეტი მიენიჭა თუშეთის დაცულ ტერიტორიებს. 2021 წელს იგეგმება ბიოსფერული რეზერვატის ნომინაციაზე წარდგენა, პარალელურად, მიმდინარეობს კანონმდებლობის დახვეწა. **ბიოსფერული რეზერვატების** სამი ძირითადი ფუნქციაა: 1. ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება; 2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მხარდაჭერა; 3. განათლების, კვლევისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა. მათი შექმნა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის, მიწათსარგებლობის, ეკოტურიზმის, ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ, გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ახმეტაში **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 18 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 ხიდს. 2013-2020 წლებში, **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, ხელისუფლებამ 3,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ახმეტის 14 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 541 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

ახმეტის მუნიციპალიტეტში, 2014-2020 წლებში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად, 60 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. 47 მლნ ლარით დაფინანსდა ღირებულების ახმეტის **წყალარინების ქსელის** რეაბილიტაციისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წ.წ. წყალმომარაგების გაუმჯობესებაზე, დამატებით, 7 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. ახმეტაში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი პროექტები: სოფ. მატნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა (ჯამურად 7,1 მლნ ლარი); გრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი მონაკვეთის, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა.



პანკისის ხეობაში, სოფ. ომალოში წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

### 2021-2022 წლებისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. მოედნის რეკონსტრუქცია – 228,331,00 ლ;
- ქ. ახმეტა, კახეთის ქ. საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა – 99,283 ლ;
- ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ. ტროტუარებისა მოწყობა – 320 001 ლ;
- სოფ. ახალშენი, ჭაბურღილისა და მილსადენის მოწყობა – 45 591 ლ;
- სოფ. ოდლისი, ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა – 57 660 ლ;
- სოფ. ფიჩხოვანი, ჭაბუღილისა და რეზერვუარის მოწყობა – 75 368 ლ;
- სოფ. წინუბანი, ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა – 74 162 ლ;
- სოფ. ალავერდი, ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა – 98 423 ლ;
- სოფ. აწყური, ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა – 79 688 ლ;
- ქ. ახმეტა, ფიროსმანის II ქ. გზის რეაბილიტაცია – 105,347 ლ;
- ქ. ახმეტა, გაგარინის ქ. I მონაკვეთის რეაბილიტაცია – 98,051 ლ;
- ქ. ახმეტა, გაგარინის ქ. II მონაკვეთის რეაბილიტაცია – 47,547 ლ;
- ქ. ახმეტა, ფალიაშვილის ქ. გზის რეაბილიტაცია – 98,261 ლ;
- ქ. ახმეტა, ნინოშვილის ქ. გზის რეაბილიტაცია – 100 000 ლ;
- სოფ. ქვ. ალვანის შიდასაუბნო გზის (გზა III) რეაბილიტაცია – 83 000 ლ;
- სოფ. ზემო ალვანი, შიდასაუბნო გზის (გზა№1) რეაბილიტაცია – 100 000 ლ;
- ქ. ახმეტა, ტაბიძის I ქ. გზის რეაბილიტაცია – 99,539 ლ;
- ქ. ახმეტა, თამარის ქ. გზის რეაბილიტაცია – 139,185 ლ;
- ქ. ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. II ჩიხის გზის რეაბილიტაცია – 114,239 ლ;
- სოფ. დუისი, შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 203,546 ლ;
- სოფ. საკობიანო, გზის რეაბილიტაცია – 171 648 ლ;
- სოფ. ჯოყოლო, ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 100 000 ლ;
- სოფ. კოღოთო, შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 145,934 ლ.



ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შექმნილი საწარმო შპს თაფლიკაცი

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ალექსი ფიცხელაური: „ისეთ ადამიანებთან ერთად, ვისაც ახმეტაზე ნამდვილად შესტკივა გული, მუნიციპალიტეტში ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებ“

**ალექსი ფიცხელაური პოლიტიკაში ბიზნესიდან მოდის. გამარჯვების შემდეგ „ლექსოს მარნის“ მართვის სადავეებს მეუღლეს სრულად გადააბარებს და ახმეტაზე ზრუნვას შეუდგება. „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ ცენტრალურ მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობით შეძლებს, მუნიციპალიტეტში განახორციელოს ისეთი გრანდიოზული პროექტები, რომლებიც ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სასიკეთოდ წაადგება და მუნიციპალიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს. ახმეტაში დაბადებულმა და გაზრდილმა, ძალიან კარგად იცის ახმეტის მუნიციპალიტეტის პოტენციალი ისტორიულ-კულტურული და ტერიტორიული მდებარეობის თვალსაზრისით, ასევე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია აქვს ახმეტელების საჭიროებების შესახებ და „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად ყველაფერს გააკეთებს, რომ ახმეტაში ყოველი მომდევნო დღე წინაზე უკეთესი იყოს.**



დაიბადა 1979 წლის 23 ივნისს.

1985-1996 წლებში დაამთავრა ახმეტის №1 საშუალო სკოლა, 1996-2002 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – სამკურნალო ფაკულტეტი. 2004-2011 წლებში იყო ფარმაცევტული კომპანია „სათიანოს“ დირექტორი, 2012-2014 წლებში – ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, 2014-2021წლებში – ამავე ცენტრის სპეციალისტი; ასევე 2014-2017 წლებში იყო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– ახმეტაში, ვეფხო ფიცხელაურისა და ვისელი ჩუბინიძის ოჯახში დავიბადე, მყავს უფროსი და და ძმა. ჩემი დიდი ოჯახი ჩემთვის ყოველთვის იყო სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის და ერთიანობის მაგალითი. მშობლები გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, მე და ჩემს და-ძმას ბავშვობიდან გვასწავლეს პატიოსანი შრომის ფასი. მამა წლების განმავლობაში ღვინის, საფუარის, პურის ქარხნებსა და საკონდიტრო სფეროშიც მუშაობდა და არაერთი საპასუხისმგებლო საქმე ებარა. გარკვეული პერიოდი, ქარხნის დირექტორიც იყო. 1990-იან წლებში ავტოკატასტროფაში მოყვა და მას შემდეგ, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, საოჯახო საქმიანობას მიჰყო ხელი. დღეს მამა პენსიონერია. დედა, სამწუხაროდ, გარდაცვლილი მყავს. მან უდიდესი როლი ითამაშა ჩემს აღზრდაში. მშობლებისგან სიყვარულის მეტი არაფერი მახსოვს. განსაკუთრებული სიმკაცრით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მამას ზედმეტი მოფერება არ უყვარდა, თუმცა ჩემმა შვილებმა რადიკალურად შეცვალეს, მათ სულ ეფერება და ანებივრებს. მამას ახმეტაში განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ერთხელ თქვა კიდეც, ისეთი ცხოვრებით არ მიცხოვრია, ახმეტაში ჩემი გასაჭირი ვინმეს გაუხარდესო.

**– როგორც ვიცი, თქვენი სპორტსმენი ძმაც დიდი პატივისცემით სარგებლობს ახმეტაში, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი ოჯახის წევრებზეც.**

– დიახ, მეამაყება, რომ ასეთი ოჯახი მყავს. ჩემი ძმა, დავით ფიცხელაური, რომელიც 12 წლით უფროსია ჩემზე, ძიუდოს საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც იყო და ჭაბუკებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახლავთ. ზოგადად, ძიუდო ჩვენი ოჯახური ტრადიციაა. მეც ვვარჯიშობდი, მაგრამ ძმისგან განსხვავებით, მიღწევები არ მქონია. დიდ სპორტში ტრავმის გამო ვერ წავედი. ჩემმა ძმამ კი არაერთ ქვეყანაში წარმატებით იასპარეზა. დღეს ჩემი ძმა თბილისში ცხოვრობს, საკუთარი ბიზნესით არის დაკავებული. ის ჩემთვის სამაგალითო ადამიანი და ჩემი დიდი გულშემატკივარია. მყავს ასევე უფროსი და ლალი, რომელიც ქიმიკოსია და ოჯახთან ერთად ისრაელში ცხოვრობს. ფაქტობრივად, ჩემი და-ძმა მუდმივად მენატრებოდა, რადგან როცა წამოვიზარდე, ისინი უკვე სტუდენტები გახდნენ და სასწავლებლად წავიდნენ. მე კი ახმეტაში, მიუხედავად 1990-იანი წლებისა, ლაღი და სასიამოვნო ბავშვობა მქონდა. ჩემი დიდი ოჯახის განსაკუთრებული წევრია მამიდა – ციცინო ფიცხელაური, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებით მანებივრებდა და დღემდე ჩემი დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერია. ღვინის და ვაზის სიყვარული მასწავლა პაპამ, რომლის მოსახელეც ვარ. მას ხშირად დავყვებოდი ვენახში და ქვევრში ღვინის დაყენების ხელოვნება პირველად პაპასგან ვისწავლე. პაპას შვილიშვილებში განსაკუთრებით ვუყვარდით და მეც მასთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. რთვლის დროს გამოწვეული ემოციები ახლაც მახსოვს. მაშინ ყურძენს მოწნულ გოდრებში აგროვებდნენ და ურმებით მოჰქონდათ სახლამდე. მახსოვს, პაპა ვაზს როგორი რუდუნებით უვლიდა. ვაზთან ურთიერთობა უყვარდა. რთველი ჩვენს ოჯახში ნამდვილი ზეიმი იყო.

**– მაშინ წარმოიდგენდით, რომ გავიდოდა დრო და პაპის მიერ ჩანერგილ ვაზის სიყვარულს ბიზნესად აქცევდით?**

– მაშინ ამას მართლა ვერ წარმოვიდგენდი... მარანი რომ გავაკეთე და ღვინის წარმოება დავიწყე, ყველა წარმატების დროს ერთი აზრი მიტრიალებდა თავში, ნეტა პაპაჩემი ცოცხალი იყოს და ამას ხედავდეს მეთქი.

**– ბიზნესიდეა როდის გაჩნდა და თქვენი პროფესიით რატომ არ დასაქმდით?**

– სამედიცინო უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. ექიმობის დიდი სურვილი მქონდა და კარგადაც ვსწავლობდი, მაგრამ უმაღლესის დასრულების მერე, ეტაპობრივად მომიწია ბიზნესში გადმოსვლა, ჩემი ძმა ფარმაცევტულ პროდუქციას აწარმოებდა და ფარმაცევტული ქარხნის დირექტორად წამოვედი. სამედიცინო სპირტზე პრეპარატებს ვამზადებდით. სპირტს კი, ნატურალური ხორბლისგან ვხდიდით. სხვათა შორის, მოგვიანებით, სწორედ ეს ტექნოლოგია გამომადგა ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში. მამა კარგ ჭაჭას დღემდე ხდის. 2-ჯერ ჩატარდა საოჯახო ჭაჭის კონკურსი და ორივე კონკურსზე „ვეფხოს ჭაჭა“ მედალოსანი გახდა, ერთხელ ვერცხლის, მეორედ კი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მოკლედ, ბიზნესში ფეხი რომ შემოვდგი, იმ დღიდან ვცდილობდი, ისეთი მიმართულება ამერჩია, რაც სოფლისთვის პრიორიტეტული იქნებოდა და გარშემომყოფებისთვისაც სამაგალითო გახდებოდა.სულ სხვაა, როცა ყურძენიც თვითონ მოგყავს და თავად ქმნი მისგან პროდუქციას. მიხარია, რომ ეს შევძელი. მას შემდეგ რაც „ლექსოს მარანი“ გავაკეთეთ, ჩემს ირგვლივ ბევრმა დაიწყო ეს საქმიანობა, ყოველთვის მიხარია და მსიამოვნებს ახალბედა მეღვინეებისთვის რჩევის მიცემა და შეძლებისდაგვარად, მათი დახმარება.

**– რით არის განსაკუთრებული თქვენი საოჯახო მარანი და წარმატებას როგორ მიაღწიეთ?**

– „ლექსოს მარნის“ წარმატება, პირველ რიგში, ბიოლოგიურად სუფთა ყურძნით წარმოებული ხარისხიანი ღვინის დამსახურებაა. ვენახში პესტიციდებსა და ბალახის შესაწამლ პრეპარატებს არ ვიყენებთ. ვცდილობთ, გვქონდეს ბიოწარმოება. ეს ღვინის ხარისხზეც აისახება და გემოვნურ თვისებებზეც. არც ღვინოში ვიყენებთ რაიმე დანამატს. წარმატება კი, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელად მოვიდა და ჩემ ბიზნესს, ტურიზმიც მიება. ფანტაზიის დონეზეც არ წარმომედგინა, რომ ჩემი ღვინო ასეთი პოპულარული გახდებოდა. თავიდან ტურისტულ ზონებში, ბარ-რესტორნებსა და ღვინის მაღაზიებში შევიტანეთ. ტურისტები რომ აგემოვნებდნენ, ღვინის ბოთლის ეტიკეტზე მითითებულ კოორდინატებზე მიკავშირდებოდნენ, მარანში სტუმრობას და ჩვენი ღვინის სხვა სახეობის დაგემოვნებას ითხოვდნენ. ნელ-ნელა ცნობადობა გაიზარდა. ჩვენც კონკურსებში მონაწილეობა დავიწყეთ. ღვინის



ეროვნულმა სააგენტომ ჩვენი ქვევრის ღვინო საზღვარგარეთაც გაიტანა დეგუსტაციის მიზნით და მალე ექსპორტზეც დაიწყო მოთხოვნა.

**– სამწუხაროდ, ამასობაში, პანდემია წამოგეწიათ. რა პრობლემების წინაშე დააყენა თქვენი ბიზნესი კოვიდ-19-მა?**

– პანდემიამდე ისე კარგად აეწყო ტურისტული სექტორი, რომ ჩვენი წარმოების 70% მაინც, ადგილზე იყიდებოდა. ექსპორტზე მოთხოვნა იყო, მაგრამ არ ვაგზავნიდით, რადგან ძალიან დიდი წარმოება არ გვაქვს და ადგილობრივ ბაზარს ვამარაგებდით. პანდემიის დროს კი ვითარება შეიცვალა. თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ დღეს პირიქით, წარმოებული პროდუქციის 70% ექსპორტზე გადის. პანდემია რომ არა, ღვინის სექტორი კიდევ უფრო განვითარებული იქნებოდა. ბიზნესის წარმატებას ქვეყანაში არსებული საუკეთესო ბიზნესგარემო უწყობს ხელს. მცირე მეწარმის სტატუსი ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ეს სექტორი ნამდვილად წინ მიიწევს და ამას ამტკიცებს მარტივი სტატისტიკა – 10 წლის წინ რთველზე ქარხნებმა მიიღეს 140 ათასი ტონა ყურძენი, წელს კი ეს მაჩვენებელი 280 ათასი ტონაა. ანუ, წარმოიდგინეთ, ყურძნის მოსავალი 10 წელიწადში გაორმაგდა, ხალხმა ვენახების გაშენება ინტენსიურად დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ ქართული ღვინის, მისი 8000-წლიანი ისტორიის პოპულარიზაცია, ქვევრის ღვინის აღიარება მოხდა. ეს ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების და ღვინის ეროვნული სააგენტოს დამსახურებაა. სააგენტოს საკუთარი ხარჯებით ქართული ღვინოები დეგუსტაციაზე ხშირად გააქვს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლებისგან ხელშეწყობა ძალიან დიდია.

**– ხელშეწყობად შეიძლება ჩავთვალოთ გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო რთვლის სუბსიდირებას წელსაც აპირებს?**

– პირადად მე, ზოგადად სუბსიდირების მომხრე არ ვარ, მაგრამ ახლა მსოფლიო პანდემიის გამო ისეთი ვითარებაა შექმნილი, ხელისუფლებას ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, ყურძნის ფასი თვითღირებულებაზე დაბალი იქნებოდა და გლეხი ძალიან დაზარალდებოდა. ასეთ დროს სახელმწიფოს მხრიდან პროცესში ჩარევა აუცილებელია. ხელისუფლებამ დროული და სწორი ნაბიჯი გადადგა, რომლის შედეგიც ის იქნება, რომ გლეხი წელს შემოსავლის გარეშე არ დარჩება. ეს ნამდვილად გლეხის ინტერესების გათვალისწინებით გადადგმული ნაბიჯია.

**– თქვენი საქმიანობა მხოლოდ ბიზნესით არ შემოიფარგლება. გარკვეული პერიოდი კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ძეგლთა დაცვის სამსახურის თანამშრომელი და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრიც იყავით. ამჯერად, ახმეტის მერის თანამდებობისთვის ბრძოლა რატომ გადაწყვიტეთ?**

– კულტურის ცენტრში და ძეგლთა დაცვის სამსახურში მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. კულტურაც მიყვარს, ეკლესია-მონასტრები, საერთოდ, ჩემი ჰობია. საკრებულოში კი თავის დროზე იმიტომ მოვხვდი, რომ შესაძლებლობა მქონოდა ჩემი ხალხის საჭიროებები და პრობლემები ხელისუფლების ყურამდე მიმეტანა. მერე ისევ ბიზნესს დავუბრუნდი. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ პოლიტიკას აღარასდროს მივუბრუნდებოდი, მაგრამ ვთვლი, ახლა ბევრად მეტი შესაძლებლობა მაქვს, ინიციატორი და მონაწილე გავხდე იმ დიდი პროექტებისა, რის გაკეთებასაც ახმეტის მუნიციპალიტეტში ჩემს გუნდთან ერთად შევძლებ.

**– მაინც რა კეთდება ასეთი მნიშვნელოვანი ახმეტის მუნიციპალიტეტში და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

– ბევრი რამ კეთდება და მეც არაერთი გეგმა მაქვს. უდიდესი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს და დაგეგმილია. ცენტრალური წყლის მაგისტრალები გამოცვალეს, თუმცა სოფლის დონეზე წყალმომარაგების საკითხი ჯერ კიდევ დგას დღის წესრიგში. გარკვეულწილად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, თუნდაც სავარგულებსა და სასაფლაოებთან მისასვლელი გზები. ახმეტას ტურისტული თვალსაზრისით უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ მიმართულებით მეტი პროექტი უნდა განხორციელდეს. ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის საქართველოს მარგალიტი – თუშეთი, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით, ნამდვილი საოცრებაა. ახმეტაში, 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლი გვაქვს და აქ არ შედის თუშეთის ძეგლები. წარმოიდგინეთ, ტურისტებისთვის როგორი მიმზიდველია ჩვენი მუნიციპალიტეტი. კეთდება ახმეტა-თიანეთის გზა, რაც უმნიშვნელოვანესია სამთო ტურიზმის განვითარებისთვის. ზამთარში ყაზბეგისა და გუდაურის დამსვენებლებისთვის თიანეთის გავლით ახმეტაში ჩამოსვლა მოსახერხებელი იქნება. ახმეტის მერობა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, აქ დავიბადე, გავიზარდე და ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ. მინდა, ისეთი გუნდი შემოვიკრიბო გარშემო, რომელიც მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, ახმეტელებისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე იქნება ორიენტირებული. ისეთ ადამიანებთან ერთად, ვინც ახმეტაზე ნამდვილად შესტკივა გული, მუნიციპალიტეტში ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებ.

**– როგორც ჩანს, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ.**

– რა თქმა უნდა, ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს.






## ალექსი ფიცხელაურის ოჯახური იდილია და ყველაზე მნიშვნელოვანი 4 ქალბატონი

ალექსი ფიცხელაურმა ბედი რუსუდან ბეგაშვილს დაუკავშირა. ზუსტად 11 წლის წინ წყვილს ახმეტაში, ჩოლოყაშვილების ნამოსახლარზე არსებულ პატარა ეკლესიაში, კანდიდატის სულიერმა მოძღვარმა – მამა ისააკმა (ფეიქრიშვილი) ჯვარი დაწერა. მას შემდეგ ოჯახის უღელს ერთად ეწევიან და ყველა სიტუაციაში უდგანან ერთმანეთს გვერდით. ქალბატონი რუსუდანი პროფესიით ეკონომისტია, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს უთავსებს სამსახურსა და სამი შვილის დედობას, საოჯახო ბიზნესსაქმიანობაშიც აქტიურადაა ჩართული. ამ სფეროთი დაინტერესებულ და უკვე კარგად გათვითცნობიერებულ ოჯახის დიასახლისს, პოლიტიკაში მეუღლის მოსვლის შემდეგ, „ლექსოს მარნის“ მართვა მარტოს მოუწევს.

წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს. 10 წლის ნინო ყველაზე ცელქი და ამავდროულად ყველაზე ხელმარჯვეა – უყვარს ქსოვა და ქარგვა. 8 წლის ანა ბეჯითია, ძალიან უყვარს მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, „კინგსის“ ოქროს მედალოსანია მათემატიკაში. 5 წლის მარიამი კი, მამიკოს „დამამშვიდებელია“ და როგორც პატრიარქის ყველა ნათლული, განსაკუთრებული სიმშვიდით გამოირჩევა. თუ სამივე პატარა ქალბატონი სახლშია, მაშინ ფიცხელაურების ჭერქვეშ „დიდი ქარბორბალა“ ტრიალებს. მშობლები სამივე შვილს ინდივიდუალურად უდგებიან და ცდილობენ, ხელი შეუწყონ თითოეულს ნიჭის განვითარებაში.

ოჯახში მის გადაწყვეტილებას, მერობისთვის ებრძოლა, დიდი აღფრთოვანებით ერთადერთი მიზეზით არ შეხვდნენ, ისედაც დაკავებულ ოჯახის თავს, ცოლშვილისთვის მერე უფრო ნაკლები დრო დარჩება. ვეცდები, დრო ისე გავანაწილო, არც ჩემს მუნიციპალიტეტს დავაკლო რამე და არც ოჯახის წევრებს ჰქონდეთ ჩემი მუდმივი მონატრების გრძნობაო, ამბობს კანდიდატი. მით უმეტეს, რომ თვითონაც, ყოველთვის, როცა თავისუფალი დრო გამოუჩნდება, გული სახლისკენ მიუწევს, სადაც სიმშვიდე, სიყვარული და მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ოთხი ქალბატონია.

ვაზთან ურთიერთობის გარდა, მისი სისუსტე ეკლესია-მონასტრები და ისტორიული ძეგლებია. სხვათა შორის, როცა ახმეტაში, ჩოლოყაშვილების ნამოსახლარზე, წმინდა მოწამეების – ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების სახელობის ეკლესია აშენდა, მშენებლობაში, ფიზიკური შრომით, წვლილი თავადაც შეიტანა. დღემდე, ხშირად ერთვება სხვადასხვა ეკლესია-მონასტრისა თუ ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების აქციებში.

ეკლესია-მონასტრებისადმი ინტერესი კანდიდატმა შვილებსაც გადასდო. როგორც კი გოგონებმა საქართველოს ისტორიის შესწავლა დაიწყეს, რუკაზე საინტერესო ადგილები მოინიშნეს და ოჯახთან ერთად ამ ადგილების დათვალიერება დაიწყეს. ისტორიული ძეგლების მონახულება, ეკლესია-მონასტრებში მოლოცვა, ფიცხელაურების ოჯახის ჰობია. წარმოშობით ხევსურს, მთაც უყვარს ძალიან და ხევსურეთშიც ხშირად არიან. დიდი სიყვარული აქვს თუშეთის მიმართ.

ყველაზე ხშირად ალავერდის საკათედრო ტაძარსა და მონასტერს სტუმრობენ. აქ, ალაზნის ველზე გული თითქოს სხვანაირად ძგერს. აქ შემოქმედთან თითქოს უცნაურ კავშირს ამყარებ და რწმუნდები, რადგან გულწრფელად გსურს, გუნდთან და ხალხთან ერთად, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, დალოცვილი კახეთისა და საოცარი ახმეტის მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილი შეიტანო, დიდი შრომით და მონდომებით, ღვთის შეწევნითა და ალავერდის მადლით, შეძლებ!

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ახმეტის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 33 440 793 ლარი, დაფინანსდა 61 435 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 241 406,3 ლარით 161 191 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 446 810 ლარით 32041 ათასზე მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (20 311 055 ლარით 16 066 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 196 808 ლარით 6 770 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 769 926 ლარით 3086 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 372 368 ლარით 2 553 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ახმეტის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 4 103 ბენეფიციარი (276 036 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.

**ახმეტის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 80.9% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ახმეტაში,** სტაციონარული მკურნალობით 146-მა (511 809 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 060-მა პაციენტმა (138 101 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 4 915 ორსული (266 807 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1227.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ახმეტის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 432 პირი (85 810 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ახმეტის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ახმეტაში,** 2013-2021 წლებში, სულ 469 შემთხვევა 1 059 364 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ახმეტის მუნიციპალიტეტს 42 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში შახვეტილა (39 492 ლ) და მატანი (72 737 ლ); ქ. ახმეტაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები (246 763 ლ), ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ომალო (25 603 ლ), ჯოყოლო (8 504 ლ), ოჟიო (16 061 ლ), ზემო ალვანი (39 877 ლ).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 75,8 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ.– 61,0 ათასი ლ).

**მუნიციპალიტეტში ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამა**, რომელიც მიმართულია მოსახლეობაში ინფექციური და არაინფექციური დაავადებებზე ზედამხედველობის, მათი გავრცელების შემცირების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



დუისის გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ცენტრი

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ახმეტის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები 6681 პირია (01.04.2021 წ. მდგომ.) 2013 წლის შემდეგ, 2,14-ჯერ – 8 478 597-დან 18 214 806 ლარამდე გაიზარდა **პენსიების ანაზღაურებაზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 116 785 773 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ახმეტაში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 54 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,2-ჯერ – 102 023-დან 323 325 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 346 442 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ახმეტის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2319 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2-ჯერ – 2 693 ათასიდან 5710 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 42 031 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 8 618 ლარი, შშმ პირებზე – 3 022 ლარი, ბავშვებზე – 16 683 ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ახმეტაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1389 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5-ჯერ – 485 472-დან 2 442 025 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 17 496 378 ლარი.




**ახმეტის მუნიციპალიტეტში 175 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 978 333 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართები 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ახმეტის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 5 ოჯახი, მათ შორის:, პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 5 ოჯახს შეუსყიდა; საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ახმეტაში,** დაფინანსებულია 285 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 472 150 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 551 700 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ახმეტის მუნიციპალიტეტზე** – 2 278 300 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **მუნიციპალიტეტში** ჩართული იყო 969 ოჯახი, 2021 წელს – 1 103. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **ახმეტაში,** 2020 წელს ისარგებლა 485-მა ოჯახმა, 2021 წ. – 548-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) გაიცა – მუნიციპალიტეტში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 323 პირი, 2021 წ. – 320 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **2,8-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 445,8 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 160,3 ათასი ლ). 2012 წლიდან დღემდე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდა სოციალური დახმარების პროგრამები/ქვეპროგრამები.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები როგორიცაა ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება, ომის ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯი, უმწეოთათვის უფასო სასდილოს დაფინანსება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები – ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამას დაემატება შემდეგი სამიზნე ჯგუფები: ლოგინს მიჯაჭვული პირველი ჯგუფის ინვალიდები, დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებული 18 წლამდე ბავშვები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/ აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



ახმეტის №3 საბავშვო ბაღი კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

**ახმეტაში ფუნქციონირებს** 36 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (5 – ქ. ახმეტაში, 31 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** მნიშვნელოვნად გაიზარდა ახმეტაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება**. 2020 წელს, განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3 მლნ 739,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 2 მლნ – სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 897,7 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს. მათ შორის: 2013 წელს,** ახმეტის მუნიციპალიტეტში, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 11 პროექტი განხორციელდა, რაზეც საერთო ჯამში, 106,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 12 პროექტი, საერთო ჯამში, 101,5 ათასი ლარით დაფინანსდა. **2015 წელს** საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 18 პროექტის განხორციელებაზე ჯამურად 141 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** მუნიციპალიტეტში, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 3 პროექტი განხორციელდა, საერთო ღირებულებით 222,1 ათასი ლარი. **2017 წელს** ქ. ახმეტის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას 277,4 ათასი ლარი მოხმარდა; №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 80,6 ათასი ლარი დაიხარჯა, ქვემო ალვანში ბაღის საძირკვლის გამაგრებას კი 33,5 ათასი ლარი მოხმარდა. **2018 წელს** დაიწყო და 2019 წელს დასრულდა სოფ. ქვემო ალვანის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (246,9 ათასი ლარი). **2019 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახმეტის №1 საბავშვო ბაღს (საერთო ღირებულება 615 ათასი ლარია, 584,3 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდიდან), ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 11 საბავშვო ბაღს (56 ათასი ლარი).

**2020 წელს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით**, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მატნის №2 (755,4 ათასი ლარი) და სოფელ ზემო ხოდაშნის (310, 9 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა საბავშვო ბაღებში სველი წერტილების რეაბილიტაციის **11**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**პროექტი** (ახმეტის №4 და №5, ზემო ალვანის №2 და №3, ქვემო ალვნის №1, ახშნის, მატნის №1, ოჟიოს, კოღოთოს, ახალშენის, ფიჩხოვნის საბავშვო ბაღებში), რაზეც, ჯამში, 134,6 ათასი ლარი დაიხარჯა. 2021 წელს, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, დაიწყო სოფ. კასრისწყლისა და ახშნის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია ( 577 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად**, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1294-დან 1525-მდე გაიზარდა. ასევე 0,8 ლარიდან 3,6 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი.

**სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 4 საბავშვო ბაღში, რაშიც, 2020-2021 სასწავლო წელს, 420 ბავშვია ჩართული. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 67 აღმზრდელი, მათგან 4 (2017-2020 წლები) – სასკოლო მზაობის ჯგუფებში. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს 23 ექიმი/ექთანი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, 2012 წლის შემდეგ, აღმზრდელთა ხელფასები 165-დან 500 ლარამდე გაიზარდა.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 3, ხოლო სოფლად – 20, მათ შორის 7 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში). სკოლებში 4583 მოსწავლეა (1251 – მაღალმთიან სოფლებში), 520 მასწავლებელი (165 – მაღალმთიან სოფლებში) და 20 – სპეციალური მასწავლებელი (2 – მაღალმთიან სოფლებში). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 75 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის 9 სკოლას ემსახურება 21 მანდატური. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში, სკოლებთან მუშაობს 4 ექიმი და ერთი ფსიქოლოგი. ერთ საჯარო სკოლაში მუშაობს ქრთული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახმეტის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:** პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** საზაფხულო სკოლებში, 2014-2019 წლებში 176 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2019 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 4 საჯარო სკოლას 27 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით** 76 პროექტი დაფინანსდა, **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით**, 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 23 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 30 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 1 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში საჯარო სკოლების შესაბამისი **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით**, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 43 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 14 საჯარო სკოლის (32 მიმართულება) 369 მოსწავლემ ისარგებლა (2019-2020 ს/წლის II სემესტრის მონაცემები).

2017-2020 წლებში, ახმეტის საჯარო სკოლებს, ჯამურად, 1046 **სასკოლო ჟურნალი** და 108 326 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 2780 კომპიუტერი გადაეცათ, 175 – კლასის დამრიგებლებს, კომპიუტერით დასაჩუქრდა 280 წარჩინებული მოსწავლე. 2013-2019 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 248 **ოქროს** და **ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. 2020-2021 წლებში „ახალი სკოლის“ მოდელი მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში დაინერგა, მათ შორის 2021 წელს - 6 სკოლაში. სოციალური ინკლუზიის დახმარებით სსსმ მოსწავლეებსა და სტუდენტებში, საჯარო სკოლებში ინკლუზიური კულტურის დანერგვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სსსმ მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის კეთილგანწყობილი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. აქტივობებში ჩართულია ლინგვისტური პრობლემების მქონე სოფელ დუისის საჯარო სკოლის მუსლიმური აღმსარებლობის 30 მოზარდი;

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ახმეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 35 პროექტი განხორციელდა, ადაპტირებულია 20 საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილია 13 სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩართულია 1 სკოლა.**

**2013 წელს** განხორციელდა 10 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (479,9 ათასი ლარი); **2014 წელს** 4 საჯარო სკოლისა და 1 სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობაზე 291 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** ჩატარდა 12 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი და ქვემო ალვანში საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ფილიალის რეაბილიტაცია (სულ 2 მლნ 9,1 ათასი ლარი). **2016 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩუტარდა 3 საჯარო სკოლას, 1 სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი (სულ 110,3 ათასი ლარი). **2017 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლას (131,8 ათასი ლარი); დაფინანსდა სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (10 ათასი ლარი); სოფელ საკობიანოს საჯარო სკოლის აღჭურვა (13,5 ათასი ლარი); ქ. ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაციაზე 47 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2018 წელს** დასრულდა სოფელ საკობიანოს საჯარო სკოლის (ქორეთის დაწყებითი კორპუსი) მშენებლობა (447,5 ათასი ლარი);. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ზემო ალვანის №1 საჯარო სკოლას (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია – 316,2 ათასი ლარი), მოეწყო სკოლის ტერიტორია და აშენდა სატუმბი სადგური (188,9 ათასი ლარი). დაფინანსდა: ზემო ალვანის №1 სკოლის ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდა 75 კვტ-მდე (10,1 ათასი ლარი) და გაზიფიცირება (4,7 ათასი ლარ)ი; საკობიანოს სკოლის ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდა 50 კვტ-მდე (7 ათასი ლარი). **2019 წელს** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 15 პროექტი განხორციელდა (ჯამში 524, 7 ათასი ლარი). **2020 წელს,** პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი სველი წერტილები მოწესრიგებას მიენიჭა და **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** ახმეტის საჯარო სკოლებში განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაციის 9 პროექტი (ჯამში 192,2 ათასი ლარი).

**მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, 2020 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა** ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა სოფლებში: წინუბანი (2 მლნ ლარი), ოსიაური (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 175 ათასი ლარი, დუისი (შერწყმული წინუბნის) (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 90 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება და მშენებლობა – 2 მლნ 8 ათასი ლარი.

## პროფესიული განათლება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალვანში, 2015 წლიდან ფუნქციონირებს კოლეჯის „აისი“ ფილიალი,** სადაც სულ 68 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაა დანერგილი (8 საგნობრივი, 51 მოდულური, 9 – დუალური).

ავტორიზაციის ფარგლებში, კოლეჯს სულ 1120-მდე პროფესიული სტუდენტის მიღების უფლება აქვს, ქვემო ალვანის ფილიალს – 160-მდე სტუდენტის. სოფელ ქვემო ალვანში კოლეჯმა დაიწყო დუალური პროგრამის განხორციელება მეთევზეობაში. ფილიალში, პროფესიულ პროგრამებში, 2020 წელს, 156 სტუდენტი იყო ჩართული, მათ შორის 5 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტი. კოლეჯი კი 30-მა ახალგაზრდამ დაასრულა.

2015 წელს კოლეჯს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. 2021 წელს აშენდა სახელოსნოები. 2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 12 მლნ 616,8 ათასი ლარი შეადგინა. სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 2017-2019 წლებში, ახმეტის საჯარო სკოლებში 14 პროექტი განხორციელდა. 2019 წელს მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით, აღჭურვილობის შეძენა 624,3 ათასი ლარით დაფინანსდა.

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა უფლება, განახორციელოს ისეთი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. ინტეგრირებულ პროგრამებში კოლეჯის 21 სტუდენტი ჩაერთო.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური პროგრამით, 2013-2016 წ.წ. ახმეტის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსება მოიპოვა 86-მა სტუდენტმა, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. **2018-2019 წლებში** სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მიიღო 30-მა, ხოლო 2020-2021 სასწავლო წელს – 15-მა სტუდენტმა.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო, გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ახმეტაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდება: კოღოთის დაწყებითი სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა და შენობის სრული რეაბილიტაცია – 74,8 ათასი ლარი; ოჟიოს სკოლის გათბობი სისტემის მოწყობა და შიდა ინტერიერის მოპირკეთება – 110,5 ათასი ლარი; აკობიანოს საჯარო სკოლასა და საავტომობილო გზას შორის გამყოფი ღობის მოწყობა – 24,5 ათასი ლარი; მატნის №1 საჯარო სკოლის ღობის რეაბილიტაცია – 7,4 ათასი ლარი;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ახმეტაში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სოფ. ქვემო ალვანი), პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი (სოფ. დუისი), რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქისტაური), ახმეტის მთავარი ბიბლიოთეკა, ახმეტის საქალაქო ბიბლიოთეკა, 10 სასოფლო ბიბლიოთეკა (სოფლები: მატანი, ჯოყოლო, ხალაწანი, დუისი, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, მაღრაანი, ხოდაშენი, კარისწყალი, და საკობიანო), ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა, ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება – 11 კულტურის სახლი (ქ. ახმეტა, დუისი, ჯოყოლო, ხალაწანის, მატანი, საკობიანო, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, არგოხი, კოღოთო და ომალო).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს **დაფინანსება.** 2020 წელს **კულტურის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 413,4 ათასი ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 581,1 ათასი ლარი იყო.

2014-2020 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში**. მუნიციპალიტეტტში იმართებოდა სახალხო დღესასწაულები: „ზეზვაობა“, „თუშეთობა“ და „ბიძინაობა“, ეწყობოდა გამოფენები, ფესტივალები, პოეზიის საღამოები, მნიშვნელოვანი თარიღებისა და ღვაწლმოსილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:** 2013 წელს, რეგიონული განვითარების ფონდიდან 500 ათასი ლარით დაფინანსდა ქ. ახმეტის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ხოლო 2014 წელს – 548,8 ათასი ლარი დამწვარი კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე გამოიყო ანუ ჯამურად, 2013-2014 წლებში, აღნიშნულ პროექტებზე 1 მლნ 48, 8 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე განხორციელდა: სოფ. ოჟიოს კულტურის სახლის შენობის სახურავის შეკეთება, სოფ. კოღოთოს კულტურის სახლის რეაბილიტაცია; სოფლების – ქვემო ალვანის, მატანისა და ზემო ალვანის სამუსიკო სკოლების რეაბილიტაცია, სოფ. დუისის ბიბლიოთეკის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (სულ 50,6 ათასი ლარი). 2020 წელს, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 324,8 ათასი ლარით დაფინანსდა სოფელ მატანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია; 2014-2019 წლებში, ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის რეაბილიტაციაზე, ჯამში, 86,9 ათასი ლარი დაიხარჯა. 2019 წელს განხორციელდა მატნის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (25 ათასი ლარი). 2020 წელს ზემო ალვანის კულტურის სახლის რეაბილიტაციას 9,9 ათასი ლარი მოხმარდა. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, დასრულდა ომალოს კულტურის სახლის რეაბილიტაცია (183 ათასი ლარი). **2020 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს** მატნის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია (1 მლნ 629 ათასი ლარი).



ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაბინაანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი მოეწყო

**მიზნობრივი პროგრამებით, ახმეტის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელა:**

**2013 წელი** – კვეტერას ტაძრის რეაბილიტაცია (88,5 ათასი ლარი), ალავერდის მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა (20 ათასი ლარი) და არქეოლოგიური სამუშაოები (20 ათასი ლარი);

**2015 წელი** – ალავერდის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია-კონსერვაცია (22,6 ათასი ლარი), „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ (2,5 ათასი ლარი), ალავერდის სამონატრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაო (30 ათასი ლარი), წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაციის პროექტის მომზადება;

**2016 წელი** – ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა (92,8 ათასი ლარი), პანკისის ხეობაში 11 ღონისძიების ხელშეწყობა (79,8 ათასი ლარი), ფესტივალი – „ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ (8,3 ათასი ლარი), კატალოგ „ვაინახური ხელოვნების“ გამოცემის ხელშეწყობა (8,6 ათასი ლარი), პროექტი „ფოტოკლუბი პანკისის ხეობაში“ (9,8 ათასი ლარი), „ვაინახური საბავშვო ზღაპრები ქართულ ენაზე“ ფინანსური მხარდაჭერა (8,3 ათასი ლარი), წიგნ-ალბომის – „პანკისის ხეობა და ქისტური ცეკვის ამაგდარი“ – გამოცემის ხელშეწყობა (11,4 ათასი ლარი), ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის ჩვენება დუისში, ჯოყოლოსა და ომალოში (4,9 ათასი ლარი), ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრ „აფხაზეთის“ სპექტაკლის ჩვენება ხეობის სოფლებში (1,5 ათასი ლარი), ფოლკლორული მუსიკის კონცერტი (13,2 ათასი ლარი), ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენა და მასტერკლასი ადგილობრივი სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით (3 ათასი ლარი), ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლებისთვის კოსტუმების და/ან ინსტრუმენტების შეძენა (8,3 ათასი ლარი); თუშეთის უნიკალური ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების მქონე ათი ციხე-სოფლის (ეროვნული კატეგორიის ძეგლი) ინვენტარიზაცია და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (400 ათასი ლარი).

**2017 წელს, სამინისტროს ხელშეწყობით, განხორციელდა პროექტები:** „ორნამენტი” (პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ტექსტილის ტექნიკის შესწავლა და მასტერკლასები); „მინაში გაცოცხლებული ორნამენტი“ (მხატვრულ მინაზე მუშაობის შესწავლა); „კულტურათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობა“ (კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი, დღესასწაული „კვეტერა“). სამინისტროს დაფინანსებით, **2019 წელს,** კეთილმოეწყო კესელოს ციხის ტერიტორია საფელ ომალოში; მომზადდა ალავერდის კომპლექსის წმ. გიორგის ტაძრისა და პალატის აღდგენა-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია. საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ახმეტის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა პროექტები: „ციხე-სიმაგრეები მომავლის მცველები“ (16,2 ათასი ლარი), „საქართველოს კერამიკის გზა” (24,6 ათასი ალრი). მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი – „იტერ ვიტის-ღვინის გზა“ და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი – „ალ. დიუმას კვალდაკვალ“. **2020 წელს** შემუშავდა ქ. ახმეტაში მდებარე, „ახმეტის ღვთაების“ კომპლექსის გაწმენდისა და მატნის ცხრაკარას მონასტრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია. განხორციელდა ახმეტის ღვთაების კომპლექსის მოსამზადებელი, გაწმენდითი სამუშაოები (47,2 ათასი ლარი).

**2015-2020 წლებში,** სამინისტროს ხელშეწყობით, პანკისის ხეობის სოფლებში: დუისი, ბირკიანი, საკობიანო, წინუბანი, ქორეთი, ხალაწანი ხორციელდება **პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“,** რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები/აქტივობები.

## სპორტი

**ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ზ. ზვიადაურის სახ. ძიუდოს სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“.**

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს **სპორტის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 624,1 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 343 ათასი ლარი იყო.

ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა ცდილობს, ხელი შეუწყოს სპორტის ყველა სახეობის განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძიუდოს, მკლავჭიდსა და კალათბურთს. სკოლა მუნიციპალიტეტის სოფლებში ავითარებს სპორტის ისეთ სახეობებს, როგორრებიცაა: რაგბი, კიკბოქსინგი, ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი და ძიუდო. კომპლექსური სასპორტო სკოლის წარმატებულ სპორტსმენებს ძიუდოში, მკვლავჭიდსა და კალათბურთში დანიშნული აქვთ **ყოველთვიური სტიპენდია.**

სოფელ მატანში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, **აშენდა თანამედროვე სტანდარტების მრავალპროფილური სპორტული დარბაზი.** კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ მატნის სპორტული კომპლექსისთვის შეიძინა 5 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარი (ავეჯი), ასევე, ძიუდოს დარბაზში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 12 ათასი ლარით დაფინანსდა; **2019 წელს სოფელ მატანში გაიხსნა თანამედროვე სპორტული ცენტრი,** რომელიც ირიცხება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ბალანსზე; ახალ

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

დარბაზში დასაქმებულია 6 ადამიანი; დარბაზში ვარჯიშობენ კალათბურთის ჯგუფები, სადაც 40 სპორტსმენი ირიცხება. დარბაზში ასევე ვარჯიშობენ სხვა სპორტული ჯგუფები.

2017 წელს ძიუდოს სკოლის ბაზაზე ჩატარდა 2 საერთაშორისო და 1 რესპუბლიკური ტურნირი. სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 27 საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში (საქართველოს ფარგლებს გარეთ – 4 საერთაშორისო ტურნირი) სულ მოიპოვეს 104 მედალი, აქედან 34 ოქრო, 24 ვერცხლი, 46 ბრინჯაო. საქართველოს ნაკრებში ახმეტის მუნიციპალიტეტის 6 სპორტსმენია. 2018 წელს, საკუთარ ბაზაზე ჩატარდა 2 საერთაშორისო რესპუბლიკური ტურნირი და 2 საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. სკოლამ მონაწილეობა მიიღო 29 საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში. როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, სულ მოიპოვეს 152 მედალი – 62 ოქრო, 42 ვერცხლი და 48 ბრინჯაო. 2019 წელს საკუთარ ბაზაზე ჩატარდა 2 ტურნირი. სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 28 საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში. მოიპოვეს 93 მედალი.

**2019 წელს** სკოლაში 400 სპორტსმენი, 23 მწვრთნელი იყო გაერთიანებული. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებდა სპორტის 10 სახეობა. სკოლის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახეობებში რესპუბლიკურ, საქალაქთაშორისო, საერთაშორისო, ევროპის და მსოფლიო დონის შეჯიბრებებში. კალათბურთელ გოგონათა გუნდი მონაწილეობს ქალთა უმაღლეს ლიგაში, ჯამში მოპოვებულია 98 მედალი – 43 ოქრო, 31 ვერცხლი და 24 ბრინჯაო.

**ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტურნირებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთო ჯამში, 100-ზე მეტი მედალი მოიპოვეს.** განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც 9 მედალია მოპოვებული. ასევე, იმავე სკოლის ორი კალათბურთელი გოგონა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებში თამაშობს.

**3 წელია საფეხბურთო სკოლა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან ფინანსდება (სულ 22 ათასი ლარი). 2018 წელს** განხორციელდა გოგონათა საფეხბურთო გუნდისთვის განკუთვნილი შენობის რემონტი (4,9 ათასი ლარი). **2017 წელს** ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონის“ გუნდები მონაწილეობდნენ კახეთის პირველობაში, ასევე თბილისის მერიის თასზე გამართულ შეჯიბრში და II-III ადგილები დაიკავეს;

**2019 წელს, ა(ა)იპ „ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლასთან“ გაიხსნა საცხენოსნო კლუბი, რომელშიც ერთი მწვრთნელი და 25 სპორტსმენი ირიცხება.** ამავე წელს, ქ. ახმეტაში, გაიმართა ერეკლე II-სა და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის დოღი; სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 26 მაისს, ქ. სამტრედიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ დოღში; ორდღიანი საცხენოსნო გარბენი, შუამთიდან (30 კმ) ქ. ახმეტამდე. ჯამში, მოპოვებულია 8 ოქრო, 4 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

**ახმეტის მუნიციპალიტეტს ჰყავს მკლავჭიდში 15 მსოფლიო ჩემპიონი, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალოსანი სპორტსმენი. ევროპის ჩემპიონია 18 სპორტსმენი, 18 ვერცხლის, 10 ბრინჯაოს მედლის მფლობელია; ასევე ჰყავს საქართველოს 2 ჩემპიონი ძიუდოში.**

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:** მინი სპორტული მოედნები მოეწყო სოფ. ბაბანეურში (12,9 ათასი ლარი); სოფ. კარისწყალსა (23,6 ათასი ლარი) და სოფ. მაღრაანში (12,3 ათასი ლარი); სპორტული მოედნები მოეწყო სოფ. ფიჩხოვანში (11,8 ათასი ლარი); სოფ. მატანსა (14 ათასი ლარი) და სოფ. დუისში (175,7 ათასი ლარი); სოფ. ზემო ალვანში მინისტადიონზე ხელოვნური საფარი მოეწყო (16,9 ათასი ლარი); სოფ. მატანში ხელოვნურსაფარიანი ღია მინი სპორტული მოედანი მოეწყო ორ ლოკაციაზე (33 ათასი ლარი); ოჟიოში, კოღოთოსა და ალავერდში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნები მოეწყო (32,9 ათასი ლარი); განხორციელდა სოფ. ბირკიანის მინისტადიონის რეაბილიტაცია (10,5 ათასი ლარი); სოფ. ზემო ალვანსა და სოფ. ხალაწანში შეიძინეს სპორტული საქონელი (13,5 ათასი ლარი); დაფინანსდა ზურაბ ზვიადურის სპორტსკოლის ეზოსა და მინისტადიონის მოწყობა (69,1 ათასი ლარი). 2015 წელს სოფ. დუისის სპორტდაბაზის შენობის რეაბილიტაციაზე 175,7 ათასი ლარი დაიხარჯა. 2017 წელს მოეწყო სატრენაჟორო დარბაზი ზემო ალვანში (44,1 ათასი ლარი); ქ. ახმეტაში აშენდა სატრენაჟორო დარბაზი (70 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქვემო ალვანის სტადიონზე არსებულ შენობას (37,9 ათასი ლარი); სოფ. ახშანში მოეწყო ფეხბურთის მინიმოედანი (39,5 ათასი ლარი), სოფ. მაღრაანში – სპორტული დარბაზი (50,0 ათ. ლარი), სოფ. ზემო ალავანში – სპორტული მოედანი. 2017-2018 წლებში, განხორციელდა სოფელ მატნის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, რასაც (გზის რეაბილიტაციასთან ერთად) 1 მლნ 504,9 ათასი ლარი მოხმარდა.



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა,** ახმეტის მუნიციპალიტეტში, ჩაატარეს 7 შიდაჩემპიონატი (20,6 ათასი ლარი). სამინისტრომ 3 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (41,5 ათასი ლარი) და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (9,9 ათასი ლარი). 2015-2017 წლებში, სამინისტროს დაფინანსებით, ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობები დაიდგა: ქ. ახმეტაში (13,6 ათასი ლარი), სოფელ დუისში (2 ერთეული – 28,1 ათასი ლარი), ჯოყოლოში (14,4 ათასი ლარი), ომალოსა (14,3 ათასი ლარი) და ბირკიანში (14,3 ათასი ლარი). **2018 წელს** სამინისტრომ მუნიციპალიტეტს 10,7 ათასი ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი გადასცა, **2020 წელს** კი – ძიუდოს ტატამი. ახმეტაში ხორციელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა, მათ შორის:** ტრენინგები „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ კამპანია – არა სიძულვილს“; „წარმატების სტრატეგია“; პანკისის ხეობაში მცხოვრები 25 ახალგაზრდისთვის მოეწყო 3-დღიანი ლაშქრობები, სადაც მათ ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრენინგი გარემოსდაცვით თემატიკასა და სალაშქრო ბილიკების მარკირებაზე.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** ახმეტაში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „სამკერვალო სახლი პანკისელ გოგონებს“, „ნექტარი“, „სოციალური კაფე და სასწავლო კურსები“, „სოციალური საწარმო „თუშეთი“, რომელთა მიზანი იყო პანკისელი ახალგაზრდა ქალების არაფორმალური განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა, ქალების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი გამოყვანა კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და ჩართვა საზოგადოებრივ აქტივობებში; პანკისის ხეობაში გაიხსნა სოციალური კაფე და არაფორმალური კურსები პანკისელი ქალებისა და შშმ პირებისთვის, განხორციელდა სოფელ ქვემო ალვანში მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 10 ახალგაზრდა ქალის ეკონომიკური და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და დასაქმება. **სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა** პროექტი „CYNC კვირეული პანკისი“ (55,5 ათასი ლარი).

2019 წელს დაფუძნდა **„ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“,** ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან შეირჩა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფები. 2020-2021 წლებში, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან და ა(ა)იპ კავშირი „მშვიდობისა და განვითარების“ აკადემიასთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულმა სამსახურმა ჩაატარა მთელი რიგი სამუშაოები მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად.

კოვიდპანდემიის გამო, ვერ მოხერხდა ყველა იმ მასშტაბური სპორტულ-ახალგაზრდული აქტივობის ჩატარება, რომლებიც მობილიზებას მოითხოვდა, თუმცა 2021 წლის 6 აპრილს სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირები, მოეწყო მარათონი, გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. 2021 წელს ასევე დაჯილდოვდნენ საუკეთესო შედეგების მქონე ძიუდოისტები (12 სპორტსმენი) – მათ სპორტული ფორმები, კიმონოები გადაეცათ (4,9 ათასი ლარი).

**2021-2025 წლების განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით, ახმეტის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- განხორცილდება პროექტები: მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგი (5 ათასი ლარი); კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია (25 ათასი ლარი).
- **განხორციელდება კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:** მატნის (1 მლნ 300 ათასი ლარი) და ზემო ალვანისა (5 ათასი ლარი) კულტურის სახლების რეაბილიტაცია;
- 2021-2023 წლებში დაგეგმილია: თუშეთში, ძვ. დიკლოს რეაბილიტაციის I ეტაპი; თეთრი გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის ტაძრების, ასევე, ღვთაების ეკლესიის რეაბილიტაცია; ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა (20 ათასი ლარი) და ახმეტის მთავარი ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (80 ათასი ლარი);
- 2022-2025 წლებში განხორციელდება თუშეთში არსებული ცალკეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (10 სოფელი) რეაბილიტაცია (40 მლნ ლარი); ალავერდის ტაძრის რეაბილიტაციაზე 2 მლნ ლარი დაიხარჯება;
- 2023 წლამდე განხორციელდება ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის რეაბილიტაცია (150 ათასი ლარი);
- სოფელ ომალოს კულტურის სახლის რეაბილიტაციას 222,3 ათასი ლარი მოხმარდება;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ამაყი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი, წარდგენილი ვიყო ახმეტის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად.

ახმეტაში დავიბადე და გავიზარდე, კარგად ვიცი აქაური ხალხის პრობლემები და გამოწვევები.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მიტოვებული და მივიწყებული რეგიონების გაცოცხლება დაიწყო, მათი თანაბარი განვითარება დაისახა მიზნად და უამრავი პროექტი განახორციელა, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური კუთხით, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, რომელთაც გადაჭრა სჭირდება.

ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის, ახმეტის მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. პირობას გაძლევთ, ამ გამოწვევების საპასუხოდ და არსებული პრობლემების გადასაჭრელად, მე და ჩემი გუნდი ძალისხმევას არ დავიშურებთ.

ღრმად მწამს, რომ სწორ არჩევანს გააკეთებთ, ნდობას გამომიცხადებთ და ახმეტის უკეთეს მომავალს ერთად შევქმნით.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.